წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია შპს ტელეკომპანია „გურჯაანი"-ს მულტიფლექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები , რომელიც ვრცელდება „ოფერტის"თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში აქცეპტანტი).

ქ.გურჯაანის და მის მიმდებარე ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის"თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1მომსახურება იწარმოება DVB-T(EN301746) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPG4(H-264-ISO/IEC 144496) ტექნოლოგიებით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k,64 –QAM, Coding rate:2/3,Guard interval:1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ/წმ,ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ/წმ-ისა;

1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ.გურჯაანი,ნონეშვილის 14

1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართმდე.

1.4 ოფერტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებულ ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (SD/HDMI)სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი,ტერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით.

2.„ოფერტის"კუთვნილ ქსელთან დამვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:
2.1გურჯაანის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისთვის ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს თვეში 377(სამასსამოცდაჩვიდმეტი) ლარს (გადასახადების გარეშე) ,დანახარჯი 1 SD თვეში 810 (რვაასათი) ლარს (გადასახადების გარეშე), დანახარჯი 1HD თვეში 3014(სამიათასთოთხმეტი) ლარს(გადასახადების გარეშე).

3.ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

3.1 „აქცეპტანტი"ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი,

ბ)ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ)უფლებამოსილო პირის პირადობის მოწმობის ასლი;

4.ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინწმდებარე ოფერტა ძალაში შედის 2018 წლის 01 ივლისიდან და მოქმედებს ერთიწლის მანძილზე -2019 წლის 01 ივლისამდე.

შპს ტელეკომპანია „გურჯაანი"

დირექტორი: თამარ ბელაშვილი